ხელშეკრულება №02/10/04
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი **11 იანვარი 2017 წელი**

ერთის მხრივ ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო“ (შემდგომში - შემსყიდველი), სააგენტოს დირექტორის - თემურ თორდინავას სახით და მეორეს მხრივ, იმ „მაია ჩხარტიშვილი“ (შემდგომში - მიმწოდებელი) მაია ცხარტიშვილის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის და საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 იანვრის №26 დადგენილების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი, ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო“-სათვის (CPV 50112000 მანქანების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება) სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება დამასთან დაკავშირებული მომსახურებების შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

1.2 ხელშეკრულების ობიექტია „კია ოპტიმა“-ს, სახ. № VWW471 მარკის ავტომობილებზე, 2012 წლის გამოშვება ტექნიკური შეკეთების მომსახურების შესყიდვა პრეისკურანტში მოცემული ფასებით (დანართი №1-ის შესაბამისად), რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და განიხილება მასთან ერთად.

ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.
2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს **4000.00** (ოთხიათასი) ლარს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ყველა ხარჯის გათვალისწინებით.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

3.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს დამკვეთის მოთხოვნებს.
3.2 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

4.1 მომსახურების გაწევის ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.
4.2 მომსახურების გაწევის ადგილად ითვლება ქ. თბილისი.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.
5.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენენ ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო“-ს ადმინისტრაციის უფროსი დავით კეკენაძე.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1 მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.
6.2 შემსყიდველი ვალდებულია მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ამ უკანასკნელის მიერ მომსახურების გაწევისა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს მიწოდებული საქონლის/მომსახურების ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;
7.2 შემსყიდველი ვალდებულია:
-მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.
7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:
- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა, რაზედაც უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელშიც უნდა იყოს მითითებული დამატებითი ვადები დარღვევის აღმოსაფხვრელად, ხოლო თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება/შეტყობინება.
8.3. თუ მიმწოდებელი გაფრთხილების/შეტყობინების შემდეგაც არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება და დააკისროს მიმწოდებელს ჯარიმა ხელშეკრულების საერთო/ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით.
8.4 ხელშეკრულების გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
8.5 ხელშეკრულების გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2017 წლის 31 მარტის ჩათვლით.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კნონმდებლობით დადგენილი წესით.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
12.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. სხვა პირობები

13.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
13.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

13.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

13.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

13.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

ᲨᲔᲛᲡᲧᲘᲓᲕᲔᲚᲘ
Ა(Ა)ᲘᲞ „ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲕᲝ
ᲑᲐᲒᲐ-ᲑᲐᲦᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ“

ᲛᲘᲡ : Ქ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ ᲛᲘᲪᲙᲔᲕᲘᲩᲘᲡ №29-29Ა
Ს/Კ № 404905475
ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲮᲐᲖᲘᲜᲐ
ᲙᲝᲓᲘ: TRESGE22
Ა/Ა № GE24NB0330100200165022

ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ

ᲗᲔᲛᲣᲠ ᲗᲝᲠᲓᲘᲜᲐᲕᲐ

ᲛᲘᲛᲬᲝᲓᲔᲑᲔᲚᲘ
ᲘᲛ “ᲛᲐᲘᲐ ᲩᲮᲐᲠᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘ”

ᲛᲘᲡ: Ქ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲖ. №36Ბ, Ბ. 79
Ს/Კ № 33001001267
Ს.Ს. „ᲗᲘᲑᲘᲡᲘ ᲑᲐᲜᲙᲘ“
ᲙᲝᲓᲘ: TBCBGE22
Ა/Ა № GE48TB7222945061100029

ᲛᲐᲘᲐ ᲩᲮᲐᲠᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘ

დანართი №1
2017 წლის 11 იანვრის №02/10/04 ხელშეკრულებასთან

ფასების ცხრილი

№	საქონლის დასახელება და მომსახურება	განზომილება	ერთეულის ღირებულება	ჯამი (ლარი)
1	კია ოპტიმას ძრავი	1	3500	3500
2	ძრავის შეცვლის მომსახურება	1	500	500
			სულ:	4000

შემსყიდველი
ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო“

მის : ქ. თბილისი მიცკევიჩის №29-29ა
ს/კ № 404905475
სახელმწიფო ხაზინა
კოდი: TRESGE22
ა/ა № GE24NB0330100200165022

სააგენტოს დირექტორი
თემურ თოლორდინავა

მიმწოდებელი
იმ "მაია ჩხარტიშვილი"

მის: ქ. თბილისი, მოსკოვის გამზ. №36ბ, ბ. 79
ს/კ № 33001001267
ს.ს. „თიბისი ბანკი“
კოდი: TBCBGE22
ა/ა № GE48TB7222945061100029

მაია ჩხარტიშვილი